

შპს „გოლ სტარ“-ის ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „გოლ სტარ“-ის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2023	2022
ამონაგები	1561280	1816277
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება	(1383698)	(1597248)
საერთო მოგება	177582	219029
ადმინისტრაციული ხარჯები	(31764)	(64036)
ძირითადი ხარჯები	(118533)	(121349)
საოპერაციო მოგება	27285	33644
არასაოპერაციო შემოსავალი	18754	0
მოგების გადასახადის ხარჯი	(0)	(0)
მიმდინარე წლის მოგება	46039	33644
გაუნაწილებელი მოგება წლის	46039	33644
დასაწყისში	437839	330695
კაპიტალის სხვა ცვლილება	0	73500
გაუნაწილებელი მოგება წლის		
ბოლოს	483878	437839

შპს „გოლდ სტარ“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2023	2022
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	2548	43686
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20728	20137
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	361216	373123
სხვა	384	384
	384876	437330
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	666348	667625
არამატერიალური აქტივები	678 -	0
	667026	667625
სულ აქტივები	1051902	1104955
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	161428	460784
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	401999	183597
საგადასახადო ვალდებულება	4597	22735
	568024	667116
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	73500	73500
გაუნაწილებელი მოგება	410378	364339
	483878	437839
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1051902	1104955

შპს „გოლდ სტარ“-ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1839262	2136779
გაწეული ხარჯები	(1880400)	(2186452)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	73500
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (41138)		23827
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის დასაწყისისათვის	43686	19859
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის ბოლოსათვის	2548	43686

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდ სტარ“ (ს/ნ 455506014) დაფუძნებულია 2011 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა (ავეჯის წარმოებისათვის საჭირო ძირითადი მასალებით). დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი გუგუნავას ქუჩა #18 და #20. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- მურმან შალამბერიძე (პ/ნ-53001009644) - საქართველოს მოქალაქე
- იაშა შერვაშიძე (პ/ნ 61001004645) - საქართველოს მოქალაქე
- ლევან შერვაშიძე (პ/ნ 61008000842)- საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ინფო ბუღალტერს“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 8 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 5-დან 20 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. შენობები 5%; მანქანა-დანდგარები 20%; ძალოვანი, ტურბინული მოწყობილობები 15%; ელექტროძრავები 20%; კავშირგაბმულობის მოწყობილობები 20%; ოფისის აღჭურვილობა 20%; კომპიუტერული ტექნიკა 20%; ავეჯი 20%; ინვენტარი 20%; სატრანსპორტო საშუალებები 20%.

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2023	2022
1	პროდუქციის გაყიდვა	1373865	1653553
2	მომსახურების გაწევა	187415	162724
	სულ ამონაგები:	1561280	1816277

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 1373865 ლარს, ხოლო მომსახურების გაწევა, კერძოდ სასაწყობო ფართის იჯარა შპს „რითილ ჯგუფი“-ზე (ს/ნ 436041659) და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 187415 ლარს. სულ 2023 წლის ამონაგებმა შეადგინა 1561280 ლარი.

#	დასახელება	2023	2022
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	373123	537453
2	მარაგების შესყიდვა	1371791	1432918
3	გადამუშავების დანახარჯი	1383698	1597248
4	საბოლოო მარაგები	361216	373123

საწყისი მარაგები 373123 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 1371791 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 1383698 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 361216 ლარი.

#	დასახელება	2023	2022
1	სულ ამონაგები	1561280	1816277
2	პროდუქციის თვითღირებულება	(1383698)	(1597248)
3	საერთო მოგება	177582	219029

სულ ამონაგებმა შეადგინა 1561280 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 1383698 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 177582 ლარი.

#	დასახელება	2023	2022
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	72600	73500
2	საპენსიო დანარიცხი	672	726
3	საწვავის ხარჯები	4297	5162
4	ელექტროენერგია	7280	7057
5	ავტოტექნომომსახურება	6186	59
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	3232	3831
7	ცვეთა და ამორტიზაცია	33530	34610
8	მიმდინარე რემონტის ხარჯები	0	37141
9	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	22500	23299
10	სულ საოპერაციო ხარჯი	150297	185385

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 72600 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 672 ლარი, საწვავის ხარჯმა 4297 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯი 7280 ლარი, ავტოტექნომსახურებამ 6186 ლარი, ქონების გადასახადის ხარჯმა 3232 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 33530 ლარი, და სხვა საოპერაციო ხარჯმა 22500 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 150297 ლარი.

#	დასახელება	2023	2022
1	საოპერაციო მოგება/(ზარალი	27285	33644
2	არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები	18754	0
3	შემოსავალი/(ზარალი) გადასახადებამდე	46039	33644
4	მოგების გადასახადი	0	0
5	წმინდა შემოსავალი	46039	33644

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 27285 ლარი, რომელსაც ემატება არასაოპერაციო შემოსავლის(პრემია,კურსთა შორის დადებითი სხვაობა) სახით 18754 ლარი, მოგების გადასახადი 0 უდრის, შედეგად ვიღებთ წმინდა შემოსავალს 46039 ლარს,რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2023 წლის გაუნაწილებელ მოგებაში.

#	დასახელება	2023	2022
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	437839	330695
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	46039	33644
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები/საწესდებო კაპიტალში	0	73500
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	483878	437839

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 437839 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 46039 ლარით, და 2023 წლის ბოლოსათვის შეადგინა 483878 ლარი.

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2023	2022
1	ფული სალაროში ლარში	1998	18701
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	431	23878
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	119	1107
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	2548	43686

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2023 წელს უცხოურ ვალუტაში (ევრო) ტრანზაქციები განხორციელებულია ადებული სესხის დასაფარავად, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 43686 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 2548 ლარი.

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 20137 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 1842310 ლარის, გადახდილია მოთხოვნების დასაფარავად 1841719 ლარი, დარჩა მისაღები 20728 ლარი.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მიწის ნაკვეთებით, შენობებით(ორი შენობა, გუგუნავას 18-ში და გუგუნავას 20-ში), მანქანა დანადგარებით (შედის ლამინატის საჭრელი ხერხი 3 ცალი, საწიბოებელი დანადგარი 1ც), სატრანსპორტო საშუალებას შეადგენს ავტოდამტვირთველი. ასევე კომპანიას გააჩნია კომპიუტერები და სხვა ძირითადი საშუალებები (ავეჯი ოფისისათვის, კონდიციონერები და ა.შ.) სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 667625 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 32931 ლარის ძირითადი საშუალებები, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 33530 ლარი, და 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 667026 ლარი,

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 460784 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 1671886 ლარი, გასტუმრებული იქნა 1971242 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 161428 ლარი.

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 43686 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის კლება 41138 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 0 ლარი, შედეგად წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 41138 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 2548 ლარი.

ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი:



ნუგზარ შალამბერიძე